



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/77

ქ. თბილისი

27 ნოემბერი 2018

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების
შეტანის შესახებ


„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/306 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 27 ნოემბრის №01-06-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად ითვალისწინებს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის რეგულაციას და ასევე განსაზღვრავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50¹-ე მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის - ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის სხვა კვალიფიკაციის მიზნისათვის აღიარების წესს;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბაშვილი